



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87.8722119001

თარიღი: 29/04/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №4

ქ. ახმეტა 27 აპრილი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ: გ. ონიაშვილი, გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი,
ბ. კაიშვილი, ზ. ფიცხელაური, რ. გახუაშვილი,
შ. ტერტერაშვილი
მერის მოადგილე - ვანო ნასყიდაშვილი;
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი - მ. მაისურაძე;

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. „თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების-სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
(*მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი*)
3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)
4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)
5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)
6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)
7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)
8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ;
(*მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი*)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მდისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ბიუჯეტის პროექტის ცვლილება გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277, 2022 წლის 14 იანვრის #51 და 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებების მიღებამ.საჭირო გახდა გამოყოფილი თანხების ასახვა. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების ცვლილება.

შემოსულობები: შემოსულობების ნაწილი იზრდება 1927,0 ათასი ლარით, მშ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით გამოიყო 118,3 ათასი ლარი. 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით 716,0 ათასი ლარი, 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამოიყო 1092,7 ათასი ლარი,ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები (პროცენტი) იზრდება 60,0 ათასი ლარით.

საგასავლო ნაწილი:

საგასავლო ნაწილის ოდენობა იზრდება 1927,0 ათასი ლარით. მ.შ.საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი - 118,3 ათ. ლარით, 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოებისათვის გამოიყო - 716,0 ათ. ლარი, ხოლო 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში 2022 წლის 25 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამოყოფილი 1092,7 ათასი ლარიდან 440,6 ათ. ლარი მოხმარდება ქ. ახმეტაში ბ. ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობას და 652,1 ათ.

ლართ სოფელ აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობას .

ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 60,0 ათ. ლართ, ხოლო დანარჩენი ცვლილებები გამოწვეულია შიდა პარამეტრების ცვლილებით.

1. მერიის ხარჯები, გრანტის სახით, გაიზარდა 40,0 ათ. ლართ (ძალდასრულების თავესაფარისთვის)
2. საკრებულოს ხარჯი გაიზარდა - 20,6 ათასი ლართ. აქედან:
 - საქონელი და მომსახურება 18,0 ათ ლარი (საწვავის გამო)
 - შრომის ანაზღაურება 2,6 ათ. ლარი
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს დაემატა 5,1 ათ. ლარი.
 - არაფინანსური აქტივების ზრდა 1,5 ათ. ლარი (კონდიციონერის შესაძენად)
 - საქონელი და მომსახურება 3,6 ათ. ლართ (საწვავის გამო)
4. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯების ზრდა 92,5 ათასი ლარი. (თანხა დაემატა ახშნის გზის რეაბილიტაციას, კვეტერისა და რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსებას)
5. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის დამატებით გამოიყო 3,2 ათ. ლარი
6. კლუბებს დაემატა 14,0 ათ. ლარი - ქვ. ალენის კულტურის სახლის სარეაბილიტაციოდ.
7. წყლის სისტემების რეაბილიტაციას დაემატა 14,4 ათასი ლარი - არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის თანადაფინანსებისთვის - სოფ. დუისის წყალმომარაგების სისტემებისა და ფილტრატების წყალმიღები ტერიტორიის სანიტარული ზონის მოსაწყობად.
8. ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია-ექსპლუატაციას დაემატა 5,0 ათ. ლარი - ბუნებრივი აირის ხარჯი.
9. ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯების ზრდა 8,0 ათ. ლარი.
 - სუბსიდია + 5,0 ათ. ლარი (ახმეტის ფოლკლორულ ანსამბლთათვის სიმღერის ტექნიკაში ლექცია-სემინარების ჩატარება)
 - კაპიტალური +3,0 ათ. ლარი (მატნის კულტურის სახლის გაზის სიმძლავრის გასაზრდელად)
10. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება
 - კაპიტალური 15,0 ათ. ლარი (კომპიუტერების შესაძენად)
11. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - 37,2 (შინმოუსვლელთა სკვერის თანადაფინანსება).

სულ ზრდა 255,0 ათ. ლარი.

კლება

1. მერიის კაპიტალური - 85,1 ათ. ლარი
2. სანიაღვრე არხების მოწყობა - 7,7 ათ. ლარი
3. ბაღების არაფინანსური მერიაში - 13,2 ათ. ლარი
4. კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში - 88,2 ათ. ლარი
5. კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში -0,5 ათ. ლარი

სულ კლება: 195,0 ათ. ლარი

შ.ტერტერაშვილმა დასვა კითხვა: რამ გამოიწვია ძალთა თავშესაფრისათვის გამოყოფილი თანხის გაზრდა, რაზეც ვ.ნასყიდაშვილი უპასუხა, რომ გაიზარდა ხელფასები და მიმდინარე სამუშაო პროცესისთვის საჭირო თანხები.

შ.ტერტერაშვილი: რატომ ურიცხავს ადგილობრივი ბიუჯეტი თანხას სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურს, რომელიც წარმოადგენს დელეგირებულ სამსახურს და მისი თანხებით უზრუნველყოფა ევალება სახელმწიფო ბიუჯეტს.

ვ.ნასყიდაშვილი: სამსახური ნაწილობრივ დელეგირებულია. საწვავის ფასის გაზრდის შედეგად მოხდა გამოყოფილი თანხის ამოწურვა და დანაკლისი შეივსო ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

7 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მოისმინეს: „თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების-სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით: „თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების-სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებას, -დართლოს დადგენილებას ატვირთული აქვს გირევის რეგულირების გეგმა, ტექსტური და გრაფიკული ნაწილებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს საკითხი: 3-8

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრეებს გააცნო საკრებულოს კომისიებისა და აპარატის ახალი დებულებების პროექტების ძირითადი შინაარსი.

ახალი დებულებების დამტკიცება გამოწვეულია იმით, რომ ამჟამად მოქმედ დებულებებში არ არის ასახული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში მომხდარი ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ აქტების მიღების შემდეგ.

მოქმედი დებულებები შეიცავს ნორმატიულ, გრამატიკულ და ტექნიკურ უზუსტობებს, რაც საჭიროებს გასწორებას. წარმოდგენილ პროექტებში ამგვარი ხარვეზები აღმოფხვრილია.

განსახილველი პროექტები სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს და საკრებულოს ახალ რეგლამენტს, მასში ასახულია საკრებულოს კომისიებისა და აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის წესი, ასევე კომისიის თავმჯდომარისა და წევრების, აპარატის უფროსისა და საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, უფლება-მოვალეობები და საქმიანობის გარანტიები.

აღსანიშნავია, რომ კომისიების დებულებები და აპარატის დებულება მიღებულია საკრებულოს ძველი რეგლამენტის შესაბამისად, რაც დაუშვებელია ნორმატიული აქტების ჰარმონიზაციის პრინციპიდან გამომდინარე. ამასთან, აპარატის დებულების მოქმედი რედაქცია შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზს - მაშინდელი რეგლამენტის არარსებულ მუხლზე მითითებას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიებისა და აპარატის მოქმედი დებულებები ცხადდება

ძალადაკარგულად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის (3-8) საკრებულოს სხდომაზე გატანას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

ბიუროს სხდომა დაიხურა 11⁴⁰ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

